ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

საქართველოს რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის გაზეთი

28 ნოემბერი, ოთხშაბათი, 1990 წ.
№ 226 (10 395) ● ფასი 8 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მსოფლიო თასი ზაურ ივანიშვილს

გიოტებორგი. მსოფლიო თასის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში 1980 წლიდან ტარდება. სხვათა შორის, პირველ, „დამფუძნებელ“ ტურნირსაც შვეცია მასპინძლობდა, ოღონდ მაშინ მოასპარეზენი ტრელებორგში შეიკრიბნენ, წლეულს კი ეს პრესტიჟული ტურნირი ქალაქ გიოტებორგში მოეწყო. სხვადასხვა დროს ამ გათამაშების მონაწილეებს უასპარეზიათ ბულგარეთში, უნგრეთში, საბერძნეთში, აშშ-ში, ნორვეგიაში.

წლევანდელ ტურნირშიც გამარჯვება თასის უცვლელმა მფლობელებმა, საბჭოთა ათლეტებმა მოიპოვეს. საბჭოთა ნაკრებში ოქროს მედალი სხვებთან ერთად თბილისელმა ზაურ ივანიშვილმაც დაისაკუთრა. გუნდის ღირსებას მის გარდა იცავდნენ: ოლიმპიური ჩემპიონი კომანდარ მაჯიდოვი (მინსკი), ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი დაულეტ ტურლიხანოვი (ალმა-ათა), შამსუტდინ აბასოვი (გროდნო), გაგიკ ავაგიანი და არუტიკ რუბინიანი (ორივე — გუმრი), სერგეი ბულანოვი (როსტოვი), ბისოლტ დეციევი (ჩიმკენტი), ვიაჩესლავ ოლეინიკი (კიევი) და სერგეი მურეიკინი (კიშინიოვი).

სურათზე: ზ. ივანიშვილი.

ბატონ ზვიად გამსახურდიას!

გილოცავთ დიდ და ბრწყინვალე გამარჯვებას საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ თქვენს არჩევასთან დაკავშირებით. პირადად თქვენზე დიდ იმედებს ვამყარებთ, თქვენი გვჯერა, გვწამს. მომავალი ჩვენია!

ღმერთო, უშველე ჩვენს მრავალტანჯულ საქართველოს!

ოთარ დიდებულიძე,
ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, ილია მართლის საზოგადოების წევრი.

გვაცნობეთ თარიღი!

მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების სრულიად საქართველოს ასოციაცია და საქართველოს სპორტსახკომი აცნობებს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეებს, რომ ადგილებზე უნდა შეიქმნას ზემოაღნიშნული ასოციაციის პირველადი რგოლი — გამაჯანსაღებელი კლუბი.

კლუბის დამფუძნებელი კრება უნდა ჩატარდეს 1990 წლის 15 დეკემბრამდე. სპორტკომიტეტებმა, რაიონის მთავარ ექიმებთან შეთანხმებით, სასწრაფოდ უნდა გვაუწყონ კლუბის დამფუძნებელი კრების ჩატარების თარიღი, რათა ასოციაციიდან დროულად იქნეს მივლინებული წარმომადგენელი ინსტრუქტაჟისა და პრაქტიკული დახმარებისათვის. კრების თარიღი გვაცნობეთ დეპეშით: თბილისი, „ლელო“.

თბილისის II საერთაშორისო ტურნირი ქართულ ჭიდაობაში



„საჭიდაოს“ ჰანგები სპორტის სასახლეში...

კარგი მაგალითი მუდამ გადამდებია! 30-იანი წლების დასაწყისში იაპონელებმა კლასიკური მაგალითით გვიჩვენეს თუ როგორ შეიძლება გაიტანო ეროვნული სპორტი საერთაშორისო სარბიელზე. ამისათვის მათ სულ რამდენიმე წელი დასჭირდათ. 1964 წელს ტოკიოს ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ძიუდო უკვე სრულუფლებიანი და მსოფლიოში აღიარებული დისციპლინა გახლდათ.

იაპონელთა უნარსა და შესაძლებლობებს ასე იოლად, ცხადია, ვერ გადმოვიღებთ. თუმცა, სურვილი არავისზე ნაკლები არა გვაქვს, რომ ქართული ჭიდაობა მსოფლიომ გაიცნოს. პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა და მან გარკვეულ ეფექტიც გამოიღო.

შარშან თბილისში გაიმართა პირველი საერთაშორისო ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. მასში მონაწილეობის სურვილი საკმაოდ ბევრმა ქვეყანამ გამოთქვა, მაგრამ მიზეზთა და მიზეზთა გამო, შექმნილმა ხელოვნურმა ბარიერებმა ამ ჩანაფიქრის ბოლომდე განხორციელებას ხელი შეუშალა. დაახლოებით ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა წლეულსაც, მეორე საერთაშორისო ტურნირის წინა დღეებში. თბილისში ჩამოსვლა უცხოელთათვის პირდაპირი გზით ჯერ ერთობ ძნელი საქმეა. ამას სჭირდება უამრავი ფორმალური ნებართვა, გარკვეულ ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული წინააღმდეგობათა დაძლევა, და, რაც მთავარია, კეთილი ნების გამოვლენა იმათ მხრიდან, ვისაც დღეს-დღეობით ხელთ უპყრია ძალაუფლება.



არადა, საქართველოში საასპარეზოდ ჩამოსვლის მსურველთა რიცხვი წლეულს უფრო მეტი იყო. სინამდვილეში კი სტუმრობა უცხოელთაგან მხოლოდ იაპონელებმა და მონღოლებმა მოახერხეს. რას იზამ, ჯერჯერობით ძალა აღმართსა ხნავს და ჩვენც იძულებულნი ვართ, მცირედით შემოვიფარგლოთ. თუმცა, ერთი რამ მაინც ჩვენს ხელთაა: ღირსეული მასპინძლობა, კონტაქტების გაღრმავება და კარგი მაგალითის მიცემა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ის სტუმრები, რომლებიც შეზღუდვების მიუხედავად, მაინც ეწვივნენ საქართველოს დედაქალაქს, უკმაყოფილონი არ დარჩენილან. ყოველ შემთხვევაში, მათ იხილეს ყველაფერი, რაც დიდი საერთაშორისო ტურნირისთვის უნდა იყოს დამახასიათებელი, უფრო ღრმად ჩასწვდნენ ქართულ ჭიდაობას და საკუთარი შესაძლებლობებიც (სამუშაო ატმოსფეროში) გამოსცადეს.

დღეს ნებისმიერი სპორტული შეჯიბრების წარმატება ბევრად არის დამოკიდებული მის კომერციულ ბაზაზეც. თბილისის საერთაშორისო ტურნირი ამ მხრივაც ღონივრად

იხ. მე.2-3 გვ.



სამწუხაროდ, ჩვენში არსებობდა ასეთი ტენდენცია: ვიდრე სპორტსმენის გამარჯვებები ღირსებას გვმატებდა, მისი არც ერთი სპორტული ნაბიჯი არ რჩებოდა ჩვენთვის უხილავი, აი, მისი პირადი ცხოვრება კი...

საბედნიეროდ, ბოლო ხანს ამისთვისაც „მოვიცალეთ“ და „ლელომ“ არაერთი ქართველი სპორტსმენის პირად სიხარულსა თუ საფიქრალზე გაამახვილა ყურადღება.

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა აკრობატიკაში ინგა გიორგობიანმა მოძებნა თავისი ცხოვრების ყველაზე ერთგული და საიმედო „პარტნიორი“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი ბესიკ ჩხიკვაძე და ამ ორიოდე დღის წინ ქართული ადათ-წესებით დამშვენებული ქორწილით საფუძველი ჩაეყარა კიდევ ერთ ქართულ ოჯახს. დალოცვილი ყოფილიყვნენ ახალშეუღლებულნი, ფესვმაგარი და ლიბოყურყევი — მათი კერა.

ერთპიროვნული ლიდერები

ნოვი სადი. საჭადრაკო ოლიმპიადის მეცხრე ტურში საბჭოთა კავშირის ქალთა ნაკრებმა (ნონა გაფრინდაშვილი, ალისა გალიამოვა, ქეთევან არახამია) დაამარცხა რუმინეთის გუნდი —3:0. ტურის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: საბერძნეთი-უნგრეთი 0,5:2,5, ჩინეთი-ინგლისი 1,5:0,5 (1), ბულგარეთი-პოლონეთი 2:1, გფრ-არგენტინა 2:1, აშშ-ინდოეთი 2:1.

ცხრა ტურის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდეს საბჭოთა მოჭადრაკეებმა — 23 ქულა. მათ [illegible] ლით ჩამორჩებიან უნგრ[illegible]. [illegible]მდეგ მოდიან: ჩინეთის — 18 (1), იუგოსლავია-I-ის — 17,5, [illegible]რეთისა და საბერძნეთის გუნდები (17-17 ქულა).

ვაჟთა ასპარეზობაშიც დაწინაურდა საბჭოთა ნაკრები, რომელმაც მეცხრე ტურში ჩინეთის გუნდს აჯობა — 3:1. ლიდერს 24,5 ქულა აქვს. მეორე ადგილზე არიან ინგლისისა (24 ქულა) და გფრ-ის (23,5 ქულა) წარმომადგენლები.

გაზეთ „ლელოს“ რედაქტორს!

თქვენი გაზეთის ფურცლებზე, მეორედ თუ მესამედ, სხვადასხვა სახით იბეჭდება ერთი ინფორმაცია, კერძოდ: „...ოთარ ღვამიჩიძე ეკუთვნის საქართველოს პირველი ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის სახვიმნო გახსნის ცერემონიალის დადგმა“.

მე ვეღიდი, რომ ამ მცდარ ინფორმაციას უარყოფდნენ ან საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, ან ეროვნული ჩემპიონატის მოწყობის ინიციატორები, ან თვითონ ოთარ ღვამიჩიძე მაინც, მაგრამ, ვინაიდან ასე არ მოხდა, იძულებული ვარ თქვენი გაზეთის მეთვალყურეს მივაწოდო ზუსტი ინფორმაცია ამ ფაქტთან დაკავშირებით.

საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატის გახსნამდე თხუთ დღით ადრე, რუსთაველის სახელობიდან, ჩემთან მოვიდნენ ბატონი გურამ პეტრიაშვილი, მისი ძმა ზურაბ პეტრიაშვილი და კინოოპერატორი ალექსანდრე ყეენენტი. ისინი, რბილად რომ ვთქვა, შეშფოთებულნი იყვნენ იმის გამო, რომ რეჟისორი ოთარ ღვამიჩიძე თავს ვერ არიმეჯედა სახვიმნო გახსნის ცერემონიალის მოშზადებას. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სახელითაც და პირადადაც მთხოვეს მთ, შეხვლმძღვანელა სახვიმნო სამზადისისათვის. ბუნებრივია, ასეთი მცირე დროის მონაკვეთში, უზარმაზარი საქმის საკეთარ თავზე აღება სხვა შემთხვევაში გამორიცხული იქნებოდა, მაგრამ ეს ხომ დამოუკიდებლობისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო! მეც დავთანხმდი...

მხოლოდ იმიტომ, რომ ბატონი ოთარისათვის ადამიანური ტკივილი არ მიმეყენებინა, იგი დაეტოვე სადგმაზე ჯგუფში, სადაც მას ასისტენტის ფუნქცია დაეკისრა. ამ ცერემონიალის დადგმაში გვერდში ამოძიდგნენ ბატონები რევაზ ჭოხონელიძე და თორნიკე სანებლიძე.

ასეთია მოკლედ „საქართველოს პირველი ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალის დადგმის“... ისტორია.

პატივისცემით
ლეო ჯაბანაშვილი

„საჭიდაოს“ ჰანგმეზი სპორტის სასახლეში...

(დასასრული)

იყო ორგანიზებული, და მისი წარმატება მნიშვნელოვანწილად ამ ფაქტმაც განაპირობა. არადა, წარმატებაო რომ ვამბობთ, იგი უდავოდ სახეზე იყო ამ ორი დღის განმავლობაში. ფალავნობის არც მონაწილენი დაპკლებია, არც მაყურებელი და არც ინტერესი.

— თუმცა, ერთ მცირე ნიუანსს მაინც უნდა გავუსვამ ხაზი, თუნდაც ინტერეს, რომ შემდგომში ასეთი უხერხული სიტუაცია არ განმეორდეს. ალბათ, მიხვდებით — საუბარი გვაქვს იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ფალავნობის ჩატარების ვადებს დაემთხვა (ერთი მათგანი საქართველოს ძიუდოისტთა უცხოეთში გამგზავრება იყო, მეორე კი სამხისტთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომლისთვისაც ემზადებიან ჩვენი წარმომადგენელი ფალავნები, მალეხ

ბერეუაშვილი და ჯემალ მჭედლიშვილი). რა თქმა უნდა, მსოფლიო ჩემპიონატი ყოველი სპორტსმენისათვის, საოცებენ ტურნირი გახლავთ, მით უფრო, როცა გამბედავების საქმიდან რეალური შანსი არსებობს. მსოფლიო ჩემპიონატის ვადების შეცვლა, ცხადია, ჩვენზე არ არის დამოკიდებული, აი, საკუთარი ტურნირების კორექტირება კი, რა თქმა უნდა, შეგვეძლო და ეს უნდა გვეკეთებინა კიდეც.

ახლა რამდენიმე სიტყვა თავად შეჯიბრების შესახებ, მაგრამ ჯერ ის უნდა მოგახსენოთ, რომ ორი დღე ასეთი ტურნირის ჩასატარებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. მეორე დღის ორთაბრძოლები, ფაქტობრივად, შეუსვენებლად მიმდინარეობდა, რამაც შესამჩნევად გადაატვირთა მაყურებლებიც და მონაწილენიც. მიზეზი კი მოასპარეზეთა სიმრავლე იყო, რაც თავის თავად

ბასბადრ ბეკმანოვი — უზბეკეთის დელეგაციის წევრი, რესპუბლიკური კატეგორიის ბრინაერი, რომელიც მსჯელობდა თბილისის საერთაშორისო ტურნირზე.

შეჯიბრების ღირსება გახლავთ.

ფინალური შეჯვარება მესამე ადგილისათვის ბრძოლებით დაიწყო. 56 კგ. წონაში კ. ლეზარიულმა ვერაფერი გააწყო უზბეკ ა. ტაშეხანდოვთან და დამარცხდა, 60 კგ.-ში ლ. გიულდანმა. სქლიოს ს. მამედო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუდენტური რაგბის ამბები

საფრანგეთში...

არაერთხელ თქმულა და სავსებით სამართლიანადაც, რომ სტუდენტური რაგბი „დიდი რაგბის“ ბალავარია და სწორედ მის წიაღში აღზრდილმა მოთამაშეებმა უნდა დაიცვან მომავალში საქართველოს ღირსება. მომავალ ოსტატთა გამოსაზრდელად კი, მოგეხსენებათ, ფართო სარბიელია საჭირო. ამისათვის ჩვენი სტუდენტი მორაგბეები და მათი თავკაცნი ამყარებენ კონტაქტებს სხვადასხვა ქვეყნებთან და არცთუ ურიგო შედეგებსაც აღწევენ.

ახალახან საფრანგეთში ტურნე გამართა საქართველოს სტუდენტურმა ნაკრებმა. გუნდს მონაწილეობა უნდა მიეღო საფრანგეთის ბასკეთის ქალაქ ბაიონში გამართულ საკმაოდ სოლიდურ საშვიდკაცთ ტურნირში, სადაც მის გარდა ასპარეზობდნენ დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის და სხვა ქვეყნების კოლექტივები. ეს ტურნირი წელს მესამედ ჩატარდა და, ფაქტიურად, ევროპის სტუდენტთა საშვიდკაცო ჩემპიონატს წარმოადგენს.

მაგრამ... გაუთვალისწინებელი შეფერხების გამო, რაც საბუთების გაფორმების დაგვიანებამ გამოიწვია, ტურნირის დაწყების დღეს ბაიონში მხოლოდ ჩვენი 10 მოთამაშე გაეგზავნა. თანაც, ძირითადი შემადგენლობის მორაგბეები და ნაკრების მწვრთნელები მოსკოვში დარჩნენ.

მგზავრობას, დაღლილობას და შესუსტებულ შემადგენლობას უკვალოდ არ ჩაუვლია — გუნდმა მხოლოდ მე-7 ადგილი დაიკავა თექვსმეტ მონაწილეს შორის. მაგრამ საგანგაშო აქ არაფერია: ორი წელია, რაც საქართველოში „შვიდკაცს“ თამაშობენ, ხოლო სხვა ქვეყნებში მას მრავალწლიანი ისტორია აქვს; ამასთან, როგორც ვიდეოჩანაწერებმა გვაჩვენა, ქართველი მორაგბეების ძირითად შემადგენლობას თავისუფლად შეეძლო ებრძოლა საპრიზო ადგილისათვის.

მოსკოვში დარჩენილებმა დიდი წვალება-გაჭირვებით მხოლოდ ორი დღის შემდეგ მოახერხეს საფრანგეთში გაფრენა და გუნდს პარიზში შეუერთდნენ. იქ ჩვენს მორაგბეებს პარიზის ნაკრებთან მოუხდათ თამაში, გუნდთან, რომელიც საფრანგეთის პირველი და მეორე დივიზიონების მორაგბეებით იყო დაკომპლექტებული.

პირველი ნახევრის დათმობის შემდეგ (7:9) ქართველმა სტუდენტებმა შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა და საბოლოოდ გაიმარჯვეს 24:12.

მეორე შეხვედრაში ჩვენი გუნდი პარიზის უნივერსიტეტების ნაკრებს შეეტოქა. ეს გუნდი გაზაფხულზე საქართველოში სტუმრობდა და სამიდან ორ თამაშში გამარჯვება იზეიმა. ამ მატჩისათვის ფრანგებმა რამდენიმე ძლიერი მოთამაშე დაიმატეს. ცხადია, ჩვენს სტუდენტებს რევანშის აღება სწადდათ. მათ მართლაც თავდაუზოგავად ითამაშეს და ღირსეული გამარჯვება მოიპოვეს — 26:9.

აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრებში ჩვენებს არც ერთი ლელო არ გაუშვიათ, თავად კი 7-ჯერ დაამიწეს ბურთი მეტოქეთა ჩათვლის მოედანზე.

ტურნეს მონაწილეებს, სპორტული მხარის გარდა, ბევრი სხვაც დაამახსოვრდათ. აეროპორტში ჩასვლისთანავე მათ დახვდნენ ჩვენი ფრანგი თანამემამულეები: ვიქტორ ხომერიკი, გურამ წულაძე, ნიკო და მიხეილ ჭავჭავაძეები. ისინი მთელი სტუმრობის მანძილზე გვერდიდან არ მოშორებიან მორაგბეებს — მოანახულებინეს ლევილში ქართველთა სასაფლაო, მოუწყვეს შეხვედრა ქართული ემიგრაციის წარმომადგენლებთან. სტუდენტებს არც თამაშების დროს აკლდათ თვისტომთა მხარდაჭერა.

კიევსა...

აქ გამართულ სტუდენტთა საკავშირო ტურნირში ძალები მოსინჯა თბილისის „უნივერსიტეტმა“.

თბილისელებმა დიდი უპირატესობით სძლიეს ყაზანის „უნივერსიტეტს“ — 30:0 და პირველი ლიგის ბინადარს, კიევის სამოქალაქო ავიაციის ინჟინერთა ინსტიტუტის გუნდს — 36:6. გადამწყვეტ შეხვედრაში ისინი უმაღლესი ლიგის გუნდს — კიევის „პოლიტეხნიკს“ ეთამაშნენ, იგებდნენ კიდეც, მაგრამ ბოლო წუთებზე შეცდომა დაუშვეს და დამარცხდნენ — 10:12 (7:0). საბოლოოდ მათ მეორე ადგილი დაიკავეს, რაც წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

აღსანიშნავია, რომ „უნივერსიტეტს“ ამ ტურნეში დიდი დახმარება აღმოუჩინა სპონსორმა — მსუბუქი კონსტრუქციების სამმართველომ (უფროსი ზურაბ ბუხრაშვილი).

და თბილისში...

სტუდენტურ შეხვედრებს დიდი ხნის ისტორია აქვს მრავალ „სარაგბო ქვეყანაში“. მაგალითისთვის თუნდაც ოქსფორდის და კემბრიჯის უნივერსიტეტების გუნდების მატჩებიც იკმარებს, რომლებიც უკვე 115 წელიწადია იმართება.

საქართველოს სტუდენტურმა გუნდებმა წელს, ზაფხულს, ჩაუყარეს საფუძველი მსგავს ტრადიციას და უკვე ჩაატარეს კიდეც თამაში ვერეს გაღმა და გამოღმა მდებარე უმაღლესი სასწავლებლების გუნდებს შორის.

ახლახან ჩატარდა მეორე ასეთი თამაში. გაღმელების ნაკრებს (სტუ, „შევარდენი“) პირობითად „კოლხები“ ეწოდა, „გამოღმელებისას“ („უნივერსიტეტი“, „აკადემია“, „ზოოვეტი“) — „იბერიელები“.

მატჩი დაძაბულად წარიმართა და დასრულდა „იბერიელების“ გამარჯვებით — 32:16. ამით მათ ერთგვარი რევანში აიღეს ზაფხულში დამარცხებისათვის.

ამ შეხვედრაში გუნდებმა გაითამაშეს ახლახან დაღუპული მორაგბის ირაკლი თეზელაშვილის სახელობის თასი. საქართველოს რაგბის კავშირის სტუდენტური კომიტეტის გადაწყვეტილებით, ეს თასი ამიერიდან ტრადიციულად გათამაშდება.



პარიზი. საფრანგეთის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები ემზადება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის დასკვნითი მატჩებისათვის, მათ შორის, საბჭოთა გუნდთან შეხვედრისათვის, რომელიც 4 დეკემბერს მოსკოვში გაიმართება. ამ დღეებში ფრანგებმა ამხანაგურ მატჩში რიგის ვეფ-ი დაამარცხეს — 126:105 (55:55).

● **სენტ-პიტერსბერგი (აშშ).** დევისის თასის ფინალური მატჩი აშშ-სა და ავსტრალიის გუნდებს შორის ფლორიდის შტატის ამ ქალაქში გაიმართება 30 ნოემბერ — 2 დეკემბერს. შეხვედრები მოეწყობა დარბაზში, რომელიც 12 ათას მაყურებელს იტევს. ამერიკელებმა საპასუხისმგებლო შეხვედრისათვის „ნელი მოედანი“ აირჩიეს, რამაც ავსტრალიელთა უკმაყოფილება გამოიწვია. აშშ-ის გუნდის კაპიტანის ტომ გორანის განცხადებით (კაპიტანი ჩოგბურთში მწვრთნელის ფუნქციებს ასრულებს), წყვილთა შეხვედრაში იასპარეზებენ რიკ ლიჩი და ჯიმ პიუხოლო ერთეულთა ბრძოლებში — ანდრე აგასი (მეორე კანდიდატის ვინაობა ჯერ გადაწყვეტილი არ არის). ავსტრალიის გუნდი აშშ-ში ასეთი შემადგენლობით ჩავიდა: პატ კეში, დარენ კაპილი, უილი მაზური და რიჩარდ ფრომმერგი. შეგახსენებთ, რომ დევისის თასზე ამ ორი ქვეყნის ჩოგბურთელთა შეხვედრების ანგარიშია 23:18 ამერიკელთა სასარგებლოდ. აი, ფინალური ორთაბრძოლები კი უფრო ხშირად ავსტრალიელებს აქვთ მოგებული —15:13.

● **ვარესე.** იტალიის კალათბურთელთა ჩემპიონატის ერთ-ერთ კალენდარული მატჩი ადგილობრივ „რეინჯერსსა“ და ბოლონიის „კნორს“ შორის დამთავრდა ცემა-ტყეპით, რომლის ინიციატორი აღმოჩნდა „კნორის“ მოთამაშე, ნბა-ს ლიგის ერთ-ერთი „ვარსკვლავი“ რეი რიჩარდსონი. არბიტრებმა წესრიგი აღადგინეს მხოლოდ პოლიციის დახმარებით. თანაც მოედნიდან გააძევეს მოთამაშეთა სარეკორდო რაოდენობა — ჩვიდმეტი. „კნორმა“ თამაში სამი კალათბურთელით დაამთავრა და, ბუნებრივია, დამარცხდა — 73:91.

კალეიდოსკოპი

პრიზი უმაღლესი ჯგუფის ნაკრებს

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გაცნობეთ სოხუმში გამართული ა. ლოლობერიძის სახელობის პრიზის გათამაშების ფინალური მატჩის შესახებ. ეს საპატიო თასი, როგორც გაუწყეთ, საქართველოს უმაღლესი ჯგუფის ნაკრებმა მოიპოვა. გუშინ ჩვენმა სოხუმელმა კორესპონდენტმა თ. პაჭკორიამ ამ შეხვედრის დაწვრილებითი ინფორმაცია მოგვაწოდა.

საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ჯგუფის ნაკრები — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები — 4:1 (1:1).

სოხუმი. ცენტრალური სტადიონი. 25 ნოემბერი.

უმაღლესი ჯგუფის ნაკრები: ჩხეიძე, ინანიშვილი, ცხადაძე, ჭედია, მალანია, რევაზიშვილი, ქეცბაია, ცომაია, კაჭარავა, გოგრიჭიანი, ბიგვავა.

ახალგაზრდული ნაკრები: მაკასარაშვილი, კვიტატიანი, ჯამარაული (გადელია), გუჯაბიძე, თეთრაძე, მაჭავარიანი, ნემსაძე, ბარამიძე (კიურჯიევი), მ. ჯიშკარიანი, ნიფარიძე (ყიზილაშვილი), ყაველაშვილი.

მსაჯები: ა. მილჩენკო (სოხუმი), ხ. კვარაცხელია, გ. კალანდია (ორივე — ზუგდიდი).

გაფრთხილეს: გ. გოგრიჭიანი, მ. ჯიშკარიანი, დ. ცომაია.

შეხვედრა საინტერესო ორთაბრძოლაში წარიმართა. პირველი ტაიმის დასაწყისშივე ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელებმა რამდენიმე საგოლე მომენტი შექმნეს, რასაც მე-13 წუთზე ყაველაშვილის გოლი მოჰყვა — 1:0. ამის შემდეგაც არ დამცხრალა მათი შეტევები. ერთ-ერთ ეპიზოდში მ. ჯიშკარიანის ჩამოწოდებული ბურთი იმავე ყაველაშვილის თავური დარტყმის შემდეგ ძელმა მოიგერია.

ამის შემდეგ უპირატესობას უმაღლესი ჯგუფის ნაკრები დაეუფლა და 31-ე წუთზე ბიგვავამ გაათანაბრა ანგარიში — 1:1. 68-ე წუთზე კ. ცხადაძემ თავური დარტყმით წინ გაიყვანა თავისი გუნდი — 2:1. 77-ე წუთზე კ. კაჭარავამ მესამე ბურთი გაიტანა. 82-ე წუთზე გ. გოგრიჭიანმა ეფექტური დარტყმით ოთხამდე გაზარდა ანგარიში. დარჩენილ წუთებში ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელების მცდელობას, შეემცირებინათ ანგარიშში სხვაობა, შედეგი არ მოჰყოლია — მ. ჯიშკარიანისა და ყიზილაშვილის დარტყმები მოიგერია მეკარე ჩხეიძემ.

მარადონა: „თავისუფლება მსურს“

მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავს, არგენტინელ დიეგო მარადონას, დიდი სურვილი აქვს, დატოვოს „ნაპოლის“ კლუბი და იტალიის ლიგაც, შემდეგ კი განაგრძოს თავისი კარიერა სადმე სხვაგან, მაგალითად, იაპონიაში. ეს ცნობა ამ დღეებში გამოაქვეყნა რეიტერის სააგენტომ.

დიეგო მარადონამ განაცხადა:

მრავალი სეზონის უაღრესად დაძაბული ბრძოლის შემდეგ, რაც იტალიის ლიგაში გადამხდა, აუცილებლად მინდა რომელიმე სხვა ქვეყანაში ვითამაშო, გნებავთ, იაპონიაში, გნებავთ, საფრანგეთში, მთავარია, რომ თვით ჩემპიონატი მიმდინარეობდეს უფრო დაწყნარებულ ვითარებაში. მე ის აღარა ვარ, რაც ვიყავი, ჩემი განშორება ფეხბურთთან ადრე თუ გვიან უნდა მოხდეს.

მარადონამ კორესპონდენტებს ისიც უთხრა, რომ „ნაპოლის“ პრეზიდენტმა კორადო ფერლაინომ კარგად იცის მისი ზრახვები, იცის ისიც, რომ ფეხბურთელს სურს იტალიის დატოვება, მაგრამ უარს ამბობს 1993 წლის ბოლომდე გაუშვას ფეხბურთელი, როცა „ნაპოლის“ კონტრაქტს დ. მარადონასთან ვადა გაუვა.

დ. მარადონამ კ. ფერლაინოს ჯერ კიდევ 1988 წლის უეფა-ს თასის ფინალის მერე სთხოვა განთავისუფლება, შემდეგ მისი ყიდვა უნდოდა საფრანგეთის „მარსელს“. ფეხბურთელი ფიქრობდა, რომ „ნაპოლის“ ხელმძღვანელობას როგორმე დაითანხმებდა. მას აღარ შეეძლო იტალიის ჩემპიონატის დატვირთვების გაძლება, მაგრამ პრეზიდენტმა იგი ორჯერ უარით გამოისტუმრა.

ამის საპასუხოდ, მარადონამ შვებულების შემდეგ ერთი თვით დაგვიანა გამოცხადება წინა სეზონის დასაწყისში, საწვრთნელი შეკრებები გააცდინა, წლეულსაც და მერე ორჯერ უარი თქვა თამაშში გამოსვლაზე. შესაძლოა, „ნაპოლის“ წარუმატებლობები გარკვეულად დ. მარადონას პირვეულობითაც არის გამოწვეული.

— საქმე ის კი არაა, რომ ფიზიკურად დავიღალე, — თქვა მარადონამ, — მე ფსიქოლოგიურად გამოვიფიტე. განვლილი სეზონი და მსოფლიო ჩემპიონატი ჩემთვის ძალიან მძიმე იყო, ახლა მზადა ვარ, დავუბრუნო კორადო ფერლაინოს მთელი ფული, რომელიც მან ჩემი გულისთვის გადაიხადა ავანსად. მეც ადამიანი ვარ, შეც მსურს თავისუფლება.

ოპერაცია „გულშემატკივარი“.

საგულდაგულოდ „მოემზადნენ“ ბერლინელი გულშემატკივრები ცნობილი გუნდების „ნიურნბერგისა“ და „ჰერტას“ შეხვედრისთვის. ისინი აღიჭურვნენ ლითონის ხელკეტებით, პნევმატური პისტოლეტებით, ბოთლებით და ა. შ., მაგრამ ჯერ კიდევ ნიურნბერგში ჩასვლამდე პოლიციამ დააკავა 80 გულშემატკივარი, უშუალოდ სტადიონზე შესვლის წინ კი დააპატიმრეს კიდევ 60 კაცი.

თვით მატჩი დამთავრდა „ჰერტას“ გამარჯვებით — 4:1, ბერლინელი „სტუმრები“ კი პოლიციიდან გაუშვეს მხოლოდ მატჩის მეორე დღეს.

„სპორტლოტო“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1990 წლის 46-ე ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: ტირაჟში დაშვებულია 1.476.986 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (20) მოგება 2.913 მანეთია, ოთხისთვის (1.060) — 62, სამისთვის (24.389) — 4.

საქართველოში: დაშვებულია 37.900 ვარიანტი. 6-0, 5-0, 4-20, 3-602

„სპორტლოტო 5 36“-დან: ტირაჟში დაშვებულია 15.619.479 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (6) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (2.313) — 337, სამისთვის (115.555) — 13.

საქართველოში: დაშვებულია 351.083 ვარიანტი. 5-0, 4-73, 3-2.630.

46-ე და 37-46 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 8 დეკემბრიდან 1991 წლის 8 იანვრის ჩათვლით.

„სპორტპროგნოზი“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1990 წლის 46-ე ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 2.815.048 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (3) მოგება 10.000 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (74) — 1.141 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (821) — 374 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 133.854 ვარიანტი. 13-0, 12-5, 11-541.

46-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1990 წლის 8 დეკემბრიდან 1991 წლის 8 იანვრის ჩათვლით.

• • •

47-ე ტირაჟის შედეგები

(23-25 ნოემბერი)

1—1, 2—1, 3—2, 4—1, 5—1, 6—1, 7—1, 8—X, 9—1, 10—1, 11—2, 12—X, 13—2.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა უ. ჭიჭინაძე, კორექტორები ც. ჩიტიშვილი და მ. ძეძამიძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, მ. კოტეტიშვილის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54, „მერანი“ — 93-97-20, „მარადი“ — 93-97-27.

ინდექსი: 60455

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოტეტიშვილის ქ. 14, ბეჭდავს ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20